საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5188
26/12/2024

5188-01-2-202412261707

ალექსანდრე ბარამიძეს (პ/ნ28001112842)
მის: ქ. თბილისი, არზაყან ემუხვარის ქ. 10,ბ N51
ტელ: 555 11 33 32

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 26 დეკემბრის №04/1325 ბრძანებით, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის-ალექსანდრე ბარამიძის (პ/ნ 28001112842) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 26 დეკემბრის №04/1325 ბრძანების ასლს.

ამასთან,კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ Instagram პლატფორმაზე არსებულ სავაჭრო გვერდის Shoesbeauty_ სავაჭრო პოლიტიკა დისტანციური ვაჭრობის შემთხვევაში, სრული სახით.

დანართი: „1“ ფურცელი.

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1325
26.12.2024

ბრძანება

1325-01-4-202412261216

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე 2024 წლის 26 ნოემბრის N01/5993 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე -ალექსანდრე ბარამიძის (პ/ნ 28001112842) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 25 დეკემბრის №03/1550 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე